ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ივლისის ბიუროს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 02 აგვისტოს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 19 ივლისის მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 17

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

19 ივლისი 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

პავლე კიკალიშვილი საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

ოთარ ლურსმანაშვილი იურიდიული,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

დავით კიკნაძე განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

გივი თხელიძე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

მალხაზ ფხალაძე ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასრტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

იუზა კელენჯერიძე ფრაქცია ,,ქართული ოცნება – მრეწველები" თავმჯდომარე

აკაკი ლურსმანაშვილი ფრაქცია ,,ქართული ოცნება – მწვანეები" თავმჯდომარე

ინგა მაღრაძე ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის" თავმჯდომარე

სათათბირო ხმის უფლებით - ქ. ზუმბაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ძალა ერთობაშია" -ს თავმჯდომარი მოადგილე.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ლ. გოგოლაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთი" - ს რედაქტორი

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთი" - ს ჟურნალისტი

მ. შარიქაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი

მ. ბაბლიძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი,

ს. ბაბლიძე- ოპერატორი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 02 აგვისტოს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: გივი თხელიძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე .

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა(თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ანგარიში - კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

აზრი გამოთქვეს:

ი. მაღრაძემ, რომელმაც თვითკრიტიკით აღნიშნა, რომ კომისიაში მისი საქმიანობით არ არის კმაყოფილი, მაგრამ კომისიის მუშაობით კმაყოფილია. მან კომისიის თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით, სხდომაზე მოეწვია ა.ა.ი.პ. ჯანდაცვის სამსახური და საკრებულოს თავმჯდომარეს სთხოვა შპს - „2011 -ის“ ხელმძღვანელობა ან უფლებამოსილი პირის მოწვევა , რათა გავერკვეთ რა მოხდა აღნიშნულ ორგანიზაციასთან დაკავშირებით.

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია მუშაობს კარგად, გვაქვს შეთავაზებები ბრაილის შრიფტის სწავლებასთან დაკავშირებით, რამდენჯერმე ერთობლივი სხდომა გვაქვს ჩატარებული, არის წინსვლა სოციალურ საკითხებში.

ი. კელენჯერიძემ აღნიშნა, რომ კომისია კარგად მუშაობს, ყურადღება გაამახვილა ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციებზე მისი აზრით საყურადღებოა და მოითხოვა მათ შესახებ ემსჯელათ ჯანდაცვის კომისიის სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 02 აგვისტოს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 02 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ბიუროს სხდომაზე ბიუროს წევრთა მიერ დასმული საკითხების შესაბამისად საკრებულოს სხდომაზე მოწვეული იქნენ:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ან მისი მოადგილე, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით

2. ა.ა.ი.პ. ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი.
3. ბორის პანსიონთან დაკავშირებით ინფორმაციის მომზადება დაევალა დ. კიკნაძეს - საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს 2021 წლის 02 აგვისტოს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის

წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**